პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 73 (4583) 13 აპრილი, ხუთშაბათი, 1972 წ. ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიო რეკორდით დაიწყეს

ტალინი, 11 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ესტონეთის დედაქალაქის „კალევის" დარბაზში დაიწყო სსრ კავშირის ძალოსანთა ჩემპიონატი. საასპარეზოდ დაშვებულია 150-მდე ათლეტი, რომელთა შორის 53 სპორტის დამსახურებული ოსტატი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია. ამასთან, 16 ძალოსანი სხვადასხვა დროს იყო მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

საბჭოთა ძალოსნებმა წლევანდელი წელი საკმაო წარმატებით დაიწყეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩემპიონატისათვის მზადების პერიოდში დამყარდა 11 მსოფლიო, 12 საკავშირო, 20 რესპუბლიკური და 40 სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების რეკორდი.

როგორც წესი, შეჯიბრება უმჩატესი წონის ძალოსნებმა გახსნეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი ბრძოლა მსოფლიო რეკორდსმენს, ლვოველ ა. გნატოვსა და 34 წლის სვერდლოვსკელ ვ. სმეტანინს შორის გაჩაღდა. გაიმარჯვა სმეტანინმა, რომელმაც ეს მაღალი წოდება მეხუთედ მოიპოვა. სამჭიდში მან 332,5 კგ დააგროვა. იგი პირველი იყო ატაცსა (95 კგ) და აკვრაშიც (127,5 კგ). სამჭიდში ვერცხლის მედალი წილად ხვდა გნატოვს — 325 კგ. გნატოვი უძლიერესი იყო აჭიმვაში — 117,5 კგ. ბრინჯაოს მედალი პირველად მოიხვეჭა უფელმა რ. ხანოვმა — 317,5.

საღამოს ფიცარნაგზე გამოვიდნენ მჩატე წონის ძალოსნები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა, პერმელმა გ. ჩეტინმა — 367,5 კგ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩეტინმა აკვრაში ორჯერ ვერ დაძლია 137,5 კგ და მხოლოდ მესამე ცდაზე მიაღწია საწადელს. მანვე მიიღო ოქროს მედლები აჭიმვასა (122,5 კგ) და ატაცში (107,5 კგ).

II ადგილზეა მინსკელი რ. ბელენკოვი — 365 კგ. დამატებით, მეოთხე ცდაზე მან ნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი აჭიმვაში — 128 კგ აჩვენა. ბრინჯაოს მედალი ხვდა რიგელ ვ. ანიკინს — 362,5 კგ. იგი საუკეთესო იყო აკვრაში — 142,5 კგ.

ხვალ ფიცარნაგზე გამოვლენ ქვემსუბუქი წონის ათლეტები, რომელთა შორის იქნება სსრ კავშირის ხამგზის ჩემპიონი, თბილისელი დ. შანიძე.

ჩემპიონატის ყველაზე საინტერესო მოვლენა იქნება მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ორგზის და სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონის ლ. ჟაბოტინსკის გამოსვლა ზემძიმე წონითს კატეგორიაში. იგი ორ წელზე მეტია, რაც ფიცარნაგს არ გაჰკარებია. ამდენად მის ასპარეზობას სპორტის მოყვარულები მოუთმენლად ელიან.

## დიტო შანიძე — 402,5 კგ!

ტალინი, 12 აპრილი. მეხიკოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, თბილისელმა დ. შანიძემ ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა შორის მსოფლიოში პირველმა გადალახა სამჭიდის ჯამში 400-კილოგრამიანი ზღვარი — საკავშირო ჩემპიონატის ფიცარნაგზე 402,5 კგ დააგროვა (125+122,5+155). ეს შედეგი 2,5 კგ-ით აღემატება იაპონელი იოხინობუ მიიაკეს მსოფლიო რეკორდს.

ატაცში შანიძემ 2 კგ-ით გააუმჯობესა თავისი ერთი წლის წინანდელი ევროპული რეკორდი. მისი შედეგია 122,5 კგ.

**არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს ორგანიზაციამ გაიმარჯვა საკავშირო შეჯიბრებაში**

## მაღალი ჯილდო

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეაჯამეს თავდაცვითი საზოგადოების ორგანიზაციების 1971 წლის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და დააჯილდოვეს გამარჯვებულნი, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს მშრომელთა შორის მასობრივი სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის დაყენებაში.

გამარჯვებულთა შორისაა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური ორგანიზაცია. მას მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ვიმპელი, მეორე ფულადი პრემია და სასწავლო და სპორტული ქონების კომპლექტი. (საქინფორმი).

## ასეთია სპორტული ცხოვრება

გაყურებლით სავსე დარბაზი, იატაკზე გაფენილი ვიწრო საფარიკაო ბილიკი, რომელიც სპილენძისფერ ნაკადულს მოჰგავს, თოვლივით ქათქათა სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი მუშკეტერები... ზარივით რეკავს ფოლადის იარაღი. გამარჯვებული და დამარცხებული. გულშემატკივართა ყიჟინა. ასეთია მოფარიკავის ცხოვრება.

ამ სურათს ახლა სხვა სურათი ენაცვლება: კედელზე ობლად ჰკიდია დაშნა, რომელსაც დიდი ხანია პატრონის ხელი არ გაკარებია. სკივრში საგულდაგულოდ შენახულ საფარიკაო კოსტუმს დღემდე აჩნევია „გარდახდილ ბრძოლათა" კვალი, ხოლო შეჯიბრებებში მოპოვებული სპორტული სიგელ-გუჯრები საიმედოდ აწყვია წიგნის კარადაში.

არის თუ არა ამ სურათებში თვალსაჩინო კონტრასტი? რას იზამ, ასეთია სპორტული ცხოვრება!

ზურაბ ცქიტიშვილს თავისი ცხოვრების მანძილზე ერთიც უნახავს და მეორეც. მას საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი სიხარულისა და სინანულის შერეული გრძნობა, რომელიც ასე განუყრელადაა დაკავშირებული სპორტსმენის ცხოვრებასთან. მაგრამ სიხარული უფრო მეტი ყოფილა ზურაბის სპორტულ ბიოგრაფიაში.

ახლა, როცა ამდენი წელი მაშორებს ჩემი და ზურაბის ადრეულ, სიყმაწვილის წლებს, ვერ წარმომიდგენია, რომ იგი ფარიკაობის გარდა სპორტის სხვა სახეობას გაჰყოლოდა. ასეთები ფარიკაობისთვის იბადებიან, მათ, ისევე როგორც ნორჩ მუსიკოსებსა და მწიგნობრებს, მაშინვე გამოარჩევ სხვა ბავშვებისგან.

პატარა ზურაბი ფიზიკურად ძლიერი იყო, მაგრამ მას ჰქონდა რომანტიკული ბუნება, რომელიც ბავშვს მუდამ პოეტურ სამყაროსთან აკავშირებს. ფარიკაობა სწორედ რომ ზედგამოჭრილი იყო მისთვის. ჩვენ თანატოლები ვიყავით და ამიტომაც ის დაუვიწყარი წლები ცხადად არის აღბეჭდილი ჩემს მეხსიერებაში. ბევრი რამ გვაკლდა. დღეს ღიმილით ვათვალიერებთ ფერგადასულ ფოტოსურათებს, სადაც ჩვენი თაობის მოფარიკავეები არიან აღბეჭდილი. აი, ნორჩი სპორტსმენების ერთი ჯგუფი. ზურაბი და მე ერთმანეთის გვერდით ვდგავართ. ერთს სპორტული ფეხსაცმლის მაგვარი რაღაც აცვია, მეორეს—სახლში შეკერილი „ჩუსტები". ტანსაცმელი კი ისეთია, რომ არც ერთ დღევანდელ მოფარიკავეს არც „დაესიზმრება".

და მაინც, რა ტკბილი იყო ის დრო! შეჯიბრების დღეებში, ვარჯიშებზე გვავიწყდებოდა ჩვენი უხერხული „გარდეროზი" და მთლიანად ვეძლეოდით ენით აუწერელ ნეტარებას, რომელსაც საფარიკაო ბრძოლა იწვევს. ამ ბრძოლებში იჭედებოდა მტკიცე მეგობრობა. ეს ლიტონი სიტყვები არ გეგონოთ. ეს არის თავისებური ურთიერთობა, რომელიც წლობით იქმნება სხვადასხვა ხასიათის, ტემპერამენტისა და განსხვავებული გემოვნების ადამიანთა შორის.

ჩვენი თაობის მოფარიკავეებს, ისევე როგორც ყველა ჭეშმარიტად სპორტსმენს, დიდი მეგობრობის მიუხედავად, წარმოდგენაც არ ჰქონდათ, ეგრეთ წოდებულ „ალებ-მიცემობაზე", როცა სპორტსმენები ზოგჯერ ერთმანეთს უთმობენ ბრძოლებს და პატიოსან პაექრობას ულირს სპექტაკლად აქცევენ. როგორ არ გაგახსენდება ერთი საინტერესო შეხვედრა. ეს მოხდა მოსკოვში, ერთ-ერთი შეჯიბრების დროს. ზურაბ ცქიტიშვილი ამ დროისთვის უკვე ცნობილი სპორტსმენი იყო — „ბურევესტნიკის" საკავშირო შეჯიბრებაში მხოლოდ I ადგილისთვის იბრძოდა. ასეთივე მიზანი ჰქონდა მის მეგობარს შოთა სულამანიძეს. ასპარეზობის ერთ დაძაბულ მომენტში კენჭისყრამ ერთმანეთს შეახვედრა ქართველი სპორტსმენები. იქნებ ერთ-ერთ მათგანს საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში უფრო სჭირდებოდა ქულა, მაგრამ ამაზე არც ერთს არ უფიქრია. ბრძოლა უშეღავათო და დაძაბული იყო. გაიმარჯვა ზურაბ ცქიტიშვილმა, გაიმარჯვა სრულიად დამსახურებულად. და იცით რა მოხდა? პირველმა მეგობარს წარმატება შოთა სულამანიძემ მიულოცა. მანვე ცოტა ხნის შემდეგ ჩემპიონის წოდებაც მიულოცა ზურაბს. ასე იქცევიან ნამდვილი სპორტსმენები.

სხვათა შორის, ამ ტურნირში ზურაბმა დაამარცხა აღიარებული დაშნით მოფარიკავეები, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრები ვალერი ბაზარევიჩი და იური ხაჩატურიანი. ამან ზურაბის წარმატებას დამაჯერებლობა შემატა.

ეს იყო 1964 წელს. რამდენიმე წლის შემდეგ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მოფარიკავე საფარიკაო სარბიელს გამოეთხოვება. მაგრამ ჩვენ ნუ შევწყვეტთ აქ მის სპორტულ ბიოგრაფიას და გავიხსენოთ კიდევ ერთი საგულისხმო ეპიზოდი.

1961 წელი. ახალგაზრდა ზურაბ ცქიტიშვილმა დაამტკიცა, რომ იგი საქართველოს დაშნით მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის, ანუ, როგორც მაშინ მას ეძახდნენ, „ვერცხლის ხუთეულის" ღირსეული წევრი იყო. გურამ კოსტავასთან, კოტე გოგელიასთან, რევაზ გოშაძესთან და შოთა სულამანიძესთან ერთად თბილისელმა სპორტსმენმა საბჭოთა კავშირის გუნდურ შეჯიბრებაში II საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ვფიქრობ: მაინც რით გამოირჩეოდა ზურაბი, უფრო სწორად, რად უყვარდათ იგი ასე მეგობრებს. მთელი თავისი პიროვნებით იგი განასახიერებდა სპორტსმენს, რომელშიც ჰარმონიულადაა შერწყმული ფაქიზი ადამიანური თვისებები. ვეჭვობ, ჩვენს ტოლ-ბიჭებში რომელიმეს მასზე უკეთ სცოდნოდა მეგობრობა და ჭეშმარიტი ამხანაგობის ფასი.

საფარიკაო დარბაზში ახლაც ხშირად შემოდის ინტელიგენტური გარეგნობის, მაღალი, ჭროლათვალებიანი ახალგაზრდა. შემოდის გაბედულად, როგორც საკუთარ ოჯახში. ამ დარბაზში მან გაატარა ადრეული ბავშვობისა და სიჭაბუკის საუკეთესო წლები. აქ ეზიარა პირველად ფარიკაობას, აქვე დატოვა სარბიელი. მოდი და ნუ გეყვარება ამ დარბაზის ყოველი კუთხე-კუნჭული და მისი „მკვიდრნი"! იგი ესალმება ნაცნობ-მეგობრებს და უმალ მზერა საფარიკაო ბილიკისკენ გაურბის. ბილიკზე შემპარავი ნაბიჯით ერთმანეთს უახლოვდება ორი ნიღაბჩამოფხატული მუშკეტერი. სინათლის შუქზე ბრწყინავს ფოლადის იარაღი. და, როცა ელვისებურ შეტევაში მყოფი მოფარიკავეების დაშნები ერთმანეთს გადაეჭდობა, ფოლადი ზარივით რეკავს. ეს ხმა ზურაბს ჩაესმის, როგორც სიჭაბუკის სიმღერა, „ფარიკაობის სიმღერა", რომელიც ასე ხიბლავდა მას წინათ და რომლის ერთგულიც ბოლომდე დარჩა.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

**საქართველოს პირად-გუნდური პირველობა**





## ასპარეზობდნენ აკრობატები

ქუთაისში სამ დღეს გაგრძელდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა აკრობატიკაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის გუნდები. უკონკურსოდ გამოდიოდნენ ლენინგრადის, ტულის, სტავროპოლის მხარისა და გროზნოს უძლიერესი სპორტსმენები. შეჯიბრება ქალაქის განათლების განყოფილების ახალ დარბაზში ჩატარდა.

აღსანიშნავია ახალბედა ქუთაისელი სპორტსმენების წარმატება. ეს გუნდი (მწვრთნელი გ. ჭლაკაძე) მარშან დაკომპლექტდა და პირველად მონაწილეობდა ასეთ დიდ შეჯიბრებაში. ქუთაისელები III ადგილზე გავიდნენ.

„დიდებული ოთხეული" — ასე შეარქვეს მაყურებლებმა თბილისელ სპორტსმენებს ლომთაძეს, სლივკოვს, თედეევსა და დელიბალტოვს. ისინი მართლაც მთელი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეებზე.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს 12 წლის სოხუმელმა მარინე ტყებუჩავამ და თბილისელმა დალი იაშალაშვილმა.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. რუსთავი, 3. ქუთაისი.

ქალებს შორის ხტომაში გაიმარჯვა პოღოსიანმა (სოხუმი). მეორე იყო ჩარკრუზიანი (თბილისი), მესამე — კვირკველია (სოხუმი).

ვაჟებში ყველას აჯობა სოხუმელმა შონიამ. II ადგილზეა პანკინი (თბილისი), III — სანაძე (ბათუმი).

ძალისმიერ წყვილთა შორის პირველობდნენ ბითაძე და რაშიდოვი (თბილისი). შერეულ წყვილებში გაიმარჯვეს იაშალაშვილმა და ვოლჩენკომ (თბილისი). ოთხეულთა შორის, როგორც აღვნიშნეთ, პირველობა არავის დაუთმეს ლომთაძემ, სლივკოვმა, თედეევმა, დელიბალტოვმა.

ჯ. ფხაკაძე.

ქუთაისი.

• • •

**სურათებზე**: თბილისის ოთხეული ასრულებს ვარჯიშს; შერეულ წყვილთა შორის გამარჯვებულნი დ. იაშალაშვილი და ა. ვოლჩენკო.

ავტორის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჭირო რეკომენდაციები



1939 წელს დამტკიცებულმა საკავშირო ფიზკულტურულმა კომპლექსმა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა ქვეყანაში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის გაშლაში, მაგრამ იგი სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ვეღარ უზრუნველყოფდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას.

ფიზკულტურისა და სპორტის საშუალებები სათანადოდ ვერ იყო გამოყენებული მუშა-მოსამსახურეთა დასვენებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სისტემაში, მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებისა და პროფესიულ დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით მავნე ჩვევებთან ბრძოლაში, შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცებაში, ახალგაზრდობასთან აღმზრდელობით მუშაობაში.

ბევრი სამინისტრო და უწყება, პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაცია აჭიანურებდა ფიზკულტურასა და სპორტში სამეცადინო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებას.

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსი ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის საპროგრამო და სანორმატივო საფუძველს წარმოადგენს. იგი მოწოდებულია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ყოველმხრივ განვითარებული და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანების, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლების, სამშობლოს ერთგული დამცველების აღზრდაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1972 წლის 17 იანვრის დადგენილებით დაამტკიცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის, საკავშირო პროფკავშირების ცენტრალური საბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“.

ამ დადგენილებით პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის, ასევე, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ საზოგადოებებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებით სათანადო ღონისძიებანი შეიმუშაონ.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა ახალი კომპლექსის საფუძველზე მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროგრამებში საჭირო ცვლილებები და დამატებები უკვე 1972-1973 სასწავლო წელს უნდა შეიტანონ.

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისთვის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ყოველწლიურად დასაჯილდოებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ხუთი გარდამავალი წითელი დროშა დააწესა.

ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ძალაში შევიდა, ბევრ კოლექტივში უკვე დაიწყო ნორმატივების ჩაბარება.

კარგია, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ქართულ და რუსულ ენებზე მასობრივი ტირაჟით გამოსცა ახალი კომპლექსისადმი მიძღვნილი ბროშურა. ახალ კომპლექსს ფართოდ გამოეხმაურნენ პრესა, რადიო, ტელევიზია...

ამასთან, როგორც გვატყობინებენ, ზოგიერთ ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციას ჯერ არაფერი გაუკეთებია „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის დასანერგად. ზოგმა არც იცის, რით დაიწყოს. ამიტომ გვსურს ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს, ცალკეულ ორგანოებს მივცეთ რამდენიმე რეკომენდაცია ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის უკეთ ორგანიზაციისთვის.

პირველ ყოვლისა, საჭიროა ყველა შტატიანი მუშაკისთვის ჩატარდეს სემინარი, სადაც შეკრებილთ დაწვრილებით უნდა გავაცნოთ ახალი კომპლექსის დებულება, ნორმატივები და მოთხოვნები. ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა ეს საკითხი უნდა მოისმინონ კომიტეტის გაფართოებულ სხდომებზე, სადაც მიწვეული იქნებიან სპორტსაზოგადოებათა საბჭოების, კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეები, ფიზაღზრდის მასწავლებლები, ინსტრუქტორები.

სხდომაზე პირველ ყოვლისა უნდა დამტკიცდეს კომიტეტის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის კომისიის შემადგენლობა. კომისიაში უნდა შევიყვანოთ გამოცდილი ფიზკულტურული მუშაკები, კომკავშირის, დოსააფის რაიკომების, სამხედრო კომისარიატების, განათლებისა და ჯანმრთელობის განყოფილებების, ტურისტული კლუბების, ყველა სპორტული საზოგადოების რაისაბჭოების წარმომადგენლები. კომისიის თავმჯდომარედ მიზანშეწონილია კომიტეტის ერთ-ერთი წევრი შეირჩეს.

ამავე სხდომაზე დამტკიცდება ამ კომისიის სამუშაო გეგმა, რომელიც კომიტეტის თავმჯდომარემ აქტივთან ერთად სხდომის ჩატარებამდე უნდა შეადგინოს.

კომისიის მოვალეობაა:

დახმარება გაუწიოს და კონტროლი დააწესოს ფიზკულტურის კოლექტივებში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომისიების მუშაობაზე; სისტემატურად შეამოწმოს ადგილებზე ნორმატივებისა და მოთხოვნების ჩაბარების ხარისხი და ახალი კომპლექსის ჯგუფებში სასწავლო მუშაობა; ორგანიზაცია გაუწიოს როგორც რაიონული მასშტაბით, ისე ფიზკულტურის კოლექტივებში კომპლექსის ნორმატივებისა და მოთხოვნების ჩაბარების აღრიცხვას; დახმარება აღმოუჩინოს ორგანიზაციებს ნორმების ჩაბარებისთვის სათანადო სპორტული ბაზებით, აუცილებელი ინვენტარითა და მოწყობილობით უზრუნველყოფაში, შეჯიბრებათა უსაფრთხოდ ჩატარებაში; გაშალოს ახალი კომპლექსის ფართო პროპაგანდა; კომპლექსის მრავალჭიდში ჩაატაროს მასობრივი შეჯიბრებები ქალაქის (რაიონის) პირველობაზე.

კომისიის წევრები ზედმიწევნით უნდა იცნობდნენ კომპლექსს, მის დებულებას, უნდა შეეძლოთ თეორიული მეცადინეობების ჩატარება, იყვნენ აქტიური აგიტატორები.

კომისიის სამუშაო გეგმაში მიზანშეწონილია პირველ ყოვლისა შევიტანოთ შემდეგი საკითხები:

1. „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის გასაცნობი საუბრები და მოხსენებები ფიზკულტურის კოლექტივებში. საამისოდ უნდა გამოვყოთ პასუხისმგებელი პირები, დადგინდეს ჩატარების ადგილი და თარიღი.

2. კომიტეტთან ლექტორთა ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლის წევრები სისტემატურად ჩაატარებენ მეცადინეობებს ახალი კომპლექსის ოთხივე თეორიულ ნაწილში.

3. სპორტული ბაზების მდგომარეობა და კეთილმოწყობა (წინაღობათა ზოლის რამდენიმე კომპლექტის აგება, უმთავრესად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, დიდ ფიზკულტურულ კოლექტივებში, რაიონების სტადიონებზე), ტურისტულ ლაშქრობათა მარშრუტების დადგენა...

4. ახალი კომპლექსის დოკუმენტაციის (უწყისები, ჩასათვლელი ბარათები, ბრძანება, ფორმები) შედგენა და შესაძლებლობის ფარგლებში სტამბური წესით დაბეჭდვა.

5. ნორმების ჩასაბარებლად შეჯიბრებათა სპეციალური კალენდარული გეგმის შედგენა და კომიტეტის სხდომაზე მისი დამტკიცება.

6. რაიონის ცენტრის თვალსაჩინო ადგილებში და ფიზკულტურის კოლექტივებში ახალი კომპლექსის ნორმატივებისა და მოთხოვნების აღნიშვნით მხატვრული სტენდებისა და ტრანსპარანტების მოწყობა.

7. რაიონულ გაზეთებში, საწარმო-დაწესებულებებისა და სკოლების კედლის გაზეთებში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის, მისი მნიშვნელობისა და ნორმების ჩაბარების მიმდინარეობაზე წერილების მოთავსება.

8. ადგილობრივი რადიოკვანძებით პირველი ნიშნოსნების, სპორტის ვეტერანების, დირექტორებისა და სხვათა გამოსვლები „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსზე ლექციებით, საუბრებით, ინფორმაციებით ნორმატივების ჩაბარების თაობაზე.

ამ საქმეში აქტიურად უნდა ჩაებან კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, სამხედრო კომისარიატები, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების კომიტეტები, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების ადგილობრივი ორგანოები, ჯანმრთელობის ორგანოები...

უკვე თვე გავიდა, რაც საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირულ და სპორტულ ორგანიზაციებს წინადადება მისცა ერთი თვის ვადაში გაეტარებინათ პრაქტიკული ღონისძიებები, სპორტულ ბაზებზე ახალი კომპლექსის ნორმების მისაღებად სათანადო პირობები შეექმნათ. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ კომკავშირის კომიტეტებს დაავალა მუშაობა კომპლექსის ნორმატივების, განსაკუთრებით კი სამხედრო-გამოყენებითი ნორმების მაღალ დონეზე ჩაბარებისკენ წარემართათ.

ადგილობრივი ფიზკულტურის კომიტეტები ვალდებული არიან ადგილებზე გაეცნონ საქმის ვითარებას და საჭირო შემთხვევაში ადგილობრივი ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოებიც დაიხმარონ.

უწყებებსა და ფიზკულტურის კოლექტივებში ახალი კომპლექსის კომისიების შექმნა და საორიენტაციო სიების შედგენა (იმ პირთა სიებისა, რომლებიც ნორმატივებსა და მოთხოვნებს ყველა ცალკეული საფეხურის მიხედვით ჩააბარებენ) 15 აპრილამდე უნდა დამთავრდეს.

კომისიებმა დროულად უნდა მოამზადონ პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტები — უწყისები და ჩასათვლელი ბარათები, ვინაიდან ცენტრალიზებული წესით ამ დოკუმენტაციით რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების სწრაფად მომარაგება შეუძლებელია.

ფიზკულტურის კომიტეტებმა, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა და ფიზკულტურის კოლექტივებმა არც ერთი უქმე დღე არ უნდა გამოტოვონ ისე, რომ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად მასობრივი შეჯიბრებები არ გამართონ.

**ნ. სომხიშვილი,**
**საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის, მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის, კადრებისა და სპორტის პროპაგანდის განყოფილების უფროსი.**

**ა. დოკვაძე,**
**საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

ბათუმის საწარმო-დაწესებულებების, სკოლების, ტექნიკუმების, პროფტექსასწავლებლების ფიზკულტურულ კოლექტივებში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის შემოღებისთანავე ფართოდ გაიშალა ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადება. საშუალო სკოლების მოსწავლეებმა ამას წინათ უკვე სცადეს ძალა კომპლექსით გათვალისწინებულ დისტანციებზე.

სურათზე: ბათუმელ მოსწავლეთა ერთი ჯგუფი კროსში ასპარეზობისას.

ა. ჩანტლაძის ფოტო.



# ახალი გრაფიკით

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალ ფიზკულტურულ კომპლექსს საფუძვლად ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ამოცანები უდევს.

კომპლექსი უწინდელთან შედარებით რთულია და უფრო სისტემატურ მუშაობას მოითხოვს როგორც გაკვეთილების ჩატარების პერიოდში, ისე დაჩქილოვნების? ჯგუფებსა და სექციებში.

კომპლექსი აგებულია ახალგაზრდობის თანდათანობით, ყოველმხრივი ფიზიკური აღზრდის პრინციპზე. სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა წინაშე დგას ამოცანა: უფრო ხალისიანად ჩაატარონ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლე ახალგაზრდობისა და სტუდენტების ფიზიკურ განვითარებას, მათი ჯანმრთელობის გაკაჟებას.

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ „ბურევესტნიკის“ სპორტული კლუბის გამგეობასთან ერთად შექმნა კომპლექსის შესწავლისა და ნორმატივების მიმღები მუდმივმოქმედი კომისია, რომელშიც სპორტის სხვადასხვა სახეობის სპეციალისტები შეიდნენ. ნორმატივები კურსებზე დამუშავდა, შედგა კომპლექსის მრავალჭიდში შეჯიბრებებისა და ტურისტული ლაშქრობების გრაფიკი.

**მ. გედოშვილი,**
**შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე.**

# პატრიოტული აღზრდის სკოლა

დოსააფის წალენჯიხის რაიკომის (თავმჯდომარე თ. შელია) სპორტულ-ტექნიკური კლუბი ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენს. აქ მომზადებული ბევრი ჭაბუკი და ქალიშვილი წარმატებით შრომობს რაიონის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

კლუბს მუშაობის კიდევ უფრო მაღალ დონეზე დაყენების საშუალება ახალი ორსართულიანი შენობის მწყობრში ჩადგომის შემდეგ მიეცა. ამჟამად მოსწავლეთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ავტოკაბინეტი, სასწავლო ოთახები, ლენინის ოთახი, წითელი კუთხე. აქ დილიდან საღამომდე საქმიანი ატმოსფეროა.

დიდი მუშაობა წარმოებს თანრიგოსან სპორტსმენთა მოსამზადებლად. ხშირად ეწყობა შეჯიბრებები ავტორბოლასა და ტყვიის სროლაში. ამას წინათ მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში გამართული შეჯიბრების სტარტზე 1500-ზე მეტი მსროლელი გამოვიდა. ტურნირმა ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. მესამე თანრიგის ნორმატივები 84 მსროლელმა შეასრულა.

„მზად ვარ სამშობლოს დაცვისთვის“ ნორმატივების ჩასაბარებლად გამართულ შეჯიბრებაში სათანრიგო ნორმატივებს 57 კაცი შეწვდა. გ. კვარაცხელიამ და გ. მიქავამ 100 შესაძლებლიდან 95-95 ქულით I და II ადგილები დაიკავეს.

კლუბის მუშაკები დიდ დახმარებას უწევენ პირველად ორგანიზაციებს. ისინი ხშირად გამოდიან ლექცია-მოხსენებებით.

„ნორჩი მსროლელის“ თანრიგის მისაღებად გამართულ ასპარეზობაში კარგად მომზადებული მოსწავლე მსროლელები გამოიყვანეს წალენჯიხის 1-ლმა, ჯვარის 1-ლმა, ჯგალის, ქვედა მაზანდარის, საჩინოს საშუალო სკოლებმა. „ზუსტი მსროლელის“ სახელი 41 მოსწავლემ მოიპოვა.

დოსააფის წალენჯიხის რაიკომის სპორტულ-ტექნიკური კლუბის მუშაკებს ღრმად აქვთ შეგნებული დოსააფის VII საკავშირო ყრილობის მიერ მათს წინაშე დასახული ამოცანები. ისინი ყველაფერს აკეთებენ ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისთვის.

**ო. ხალია.**
**(ჩვენი კორ.).**

წალენჯიხა.

**◆ ცხინვალი**

აქ გაიმართა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალური შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. კალათბურთში როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის მასპინძლებმა გაიმარჯვეს. მასპინძლების უპირატესობით აღინიშნა ფრენბურთელთა და მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირებიც.

* * *

თავისუფალ ჭიდაობაში ოლქის ჩემპიონები ახალგაზრდებს შორის გახდნენ: გ. კაჯაევი (ჯავა), ვ. თოგოშვილი (ლენინგორი), უ. ცხოვრებოვი, ვ. ჯიჭოევი (ორივე — ჯავა), ა. ბითიევი, რ. ვალიევი (ორივე — ცხინვალი), ვ. კაზიევი, ბ. ბერუაშვილი (ორივე — ცხინვალის რაიონი), გ. ოთინაშვილი (ცხინვალი).

**ვ. მელქოევი.**

ფეხბურთი

# კვლავ ფეხბურთის ტაფაში ვიწვი

თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტატისტიკის კათედრის ლექტორი მ. ტურავა ესაუბრა წარსულში სახელგანთქმულ ფეხბურთელს, ამჟამად გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ ფეხბურთის განყოფილების გამგეს ვ. პონედელნიკს. ვაქვეყნებთ საუბრის ტექსტს.

ინტერვიუ

● რა მიგაჩნიათ თანამედროვე საბჭოთა ფეხბურთის დაბალი დონის მიზეზად?

— სხვადასხვა მიზეზს შორის დავასახელებ ძირითადს: საწვრთნელი ბაზების უკმარობას, ბავშვებთან და ახალგაზრდებთან სუსტად წარმოებულ მუშაობას, მწვრთნელთა დაბალ კვალიფიკაციას, ახალგაზრდებში ფეხბურთის თამაშისადმი ინტერესის შენელებას. რითაა გამოწვეული ეს საოცარი ამბავი, არ ვიცი. ტალანტები ახლაც არიან, მაგრამ თუ ისინი ბოლომდე ვერ ავლენენ უნარს, ჩემი აზრით, ბრალი ფიზაღზრდის მასწავლებლებსა და მწვრთნელებს მიუძღვით.

● როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა ფეხბურთელი უნივერსალური ნიჭის პატრონი?

— მე ვირტუოზობის მომხრე ვარ. ასეთ შემთხვევაში თამაში უფრო შეთანხმებული ხდება და ყველა რგოლი ჯეროვან სიმაღლეზე დგას, ამავე დროს სპორტსმენი მთლიანად ავლენს თავის უნარს. უნივერსალიზმის ტენდენციამ საბჭოთა ფეხბურთში მისპო ნათლად გამოკვეთილი გარემარბები.

● ფეხბურთის ბევრ საბჭოთა სპეციალისტს მიაჩნია, რომ გუნდში ფსიქოლოგი არ არის საჭირო. რამდენად სწორია ეს?

— რთული საკითხია. მეც ვეთანხმები იმ აზრს, რომ გუნდში არაა საჭირო მუდმივად მომუშავე ფსიქოლოგი. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, თუ კი ეს აუცილებელია, ფსიქოლოგის დახმარებას უნდა მივმართოთ. მას შეუძლია დადებითად იმოქმედოს გუნდის თამაშზე.

● როგორ ფიქრობთ, ხომ არ იზღუდება თანამედროვე ფეხბურთში ფინტების რაოდენობა?

— სრულიადაც არა. ყველაფერი ინდივიდუალობაზეა დამოკიდებული. ალბათ გახსოვთ, რომ გარინჩას და მესხის ფინტების გამეორება ბევრმა სცადა, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მიიღო. ჯერ საკმარისად არც არის ათვისებული ის ფინტები, რომელთა არსებობა ყველამ ვიცით.

● შეუძლიათ თუ არა ფეხბურთის თეორეტიკოსებს ახალი ფინტების გამოგონება, თუ ეს მხოლოდ ფეხბურთელთა საქმეა?

— თეორეტიკოსებს შეუძლიათ შექმნან ტექნიკური სქემა, აღწერონ იგი, ფინტი კი მთლიანად ფეხბურთელის საქმეა.

● რომელი დარტყმებია მეკარისთვის ყველაზე მოულოდნელი და ამიტომაც ძნელად ასაღები?

— ჩემი აზრით, ყველაზე მოულოდნელად ითვლება დარტყმა მფრინავ ბურთზე, აგრეთვე, დარტყმა ბურთის მიწასთან შეხებისთანავე. ძნელი მოსაგერიებელია ფეხის წვერით დარტყმაც. ამ ხერხს ჩვენში რატომღაც აღარ მიმართავენ.



● რატომ აირჩიეთ ჟურნალისტის პროფესია?

— ჟურნალისტობისთვის ბავშვობიდან ვემზადებოდი. მამაჩემი სხვადასხვა დროს კორესპონდენტად მუშაობდა „კომსომოლსკაია პრავდაში“, „ლიტერატურნაია გაზეტაში“, „იზვესტიაში“. ოჯახურმა ატმოსფერომ ადრე ამაღებინა ხელში კალამი. მერე, როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე წელიწადს ვთამაშობდი. ბოლოს ისევ კალამს მივმართე, ამჟამად „სოვეტსკი სპორტში“ ვმუშაობ, მიხდება უამრავი მონაცემის დამუშავება საბჭოთა და საზღვარგარეთის ფეხბურთზე. როგორც ხედავთ, „ცოცხალ ფეხბურთს“ მოწყვეტილი, კვლავ მის ტაფაში ვიწვი.

• • •

სურათზე: ვ. პონედელნიკი.

## საქართველოს რეკორდები

### სროლა

1972 წლის 10 აპრილისთვის

| ვარჯიში | შედეგი | რეკორდსმენი | დამყარების წელი |
|---|---|---|---|
| **ქალები** | | | |
| მცირეკალიბრიანი შაშხანა | | | |
| სტანდარტი 3×20 | 574 | ს. ზასკო (თბილისი, „დინამო“) | 1967 |
| | 1682 | საქართველოს ნაკრები | 1967 |
| დგომელა 20 გასრ. | 188 | ს. ზასკო (თბილისი, „დინამო“) | 1968 |
| ჩოქელა 20 გასრ. | 195 | ს. ზასკო (თბილისი, „დინამო“) | 1967 |
| წოლელა 20 გასრ. | 200 | ლ. ჟურული (თბილისი, ასკ) | 1968 |
| წოლელა 60 გასრ. | 593 | ს. ზასკო (თბილისი, „დინამო“) | 1968 |
| | 1765 | „დინამოს“ ნაკრები | 1965 |
| პნევმატური შაშხანა | | | |
| 40 გასროლა | 363 | ს. ბუჩუკური (თბილისი, „დინამო“) | 1970 |
| | 1065 | საწყისი ნორმატივი | |
| მცირეკალიბრიანი პისტოლეტი | | | |
| შავ სამიზნეებზე 30 გასროლა | 275 | ტ. კოზონიძე (ქუთაისი, გან. განყ.) | 1964 |
| | 785 | საქართველოს ნაკრები | 1966 |
| შავ სამიზნეებზე 30+30 გასროლა | 588 | ო. კუდრიავცევა (თბილისი, ასკ) | 1970 |
| | 1706 | საქართველოს ნაკრები | 1966 |
| 5 სილუეტზე სროლა | 582 | ო. კუდრიავცევა (თბილისი, ასკ) | 1971 |
| | 1700 | საქართველოს ნაკრები | 1970 |
| 20+20+20 გასრ. | 561 | ო. კუდრიავცევა (თბილისი, ასკ) | 1971 |
| პნევმატური პისტოლეტი | | | |
| 40 გასროლა | 370 | ტ. კოზონიძე (თბილისი, ასკ) | 1971 |
| **ვაჟები** | | | |
| არმიული შაშხანა | | | |
| სტანდარტი 3×20 | 560 | შ. ქველიაშვილი (თბ., „დინამო“) | 1967 |
| | 2159 | საქართველოს ნაკრები | 1970 |
| ნებისმიერი შაშხანა | | | |
| „გაქცეულ ირემზე“ 50 ერთმაგი გასრ. | 236 | გ. თავდიდიშვილი (თბ., „დინამო“) | 1971 |
| | 900 | საქართველოს ნაკრები | 1971 |
| „გაქცეულ ირემზე“ 25 ორმაგი გასრ. | 234 | გ. თავდიდიშვილი (თბ., „დინამო“) | 1968 |
| | 871 | საქართველოს ნაკრები | 1968 |
| სტანდარტი 3×20 | 576 | ე. აბაჯიანი (თბ., „განთიადი“) | 1968 |
| სტანდარტი 3×40 | 1157 | შ. ქველიაშვილი (თბ., „დინამო“) | 1968 |
| | 4564 | საქართველოს ნაკრები | 1967 |
| წოლელა 40 გასრ. | 398 | ვ. ახალაძე (ქუთაისი) | 1967 |
| | 1568 | საწყისი ნორმატივი | |
| ჩოქელა 40 გასრ. | 394 | შ. ქველიაშვილი (თბ., „დინამო“) | 1964 |
| | 1540 | საწყისი ნორმატივი | |
| დგომელა 40 გასრ. | 371 | ა. სტროევი (სოხუმი, „დინამო“) | 1966 |
| | 1448 | საწყისი ნორმატივი | |
| მცირეკალიბრიანი შაშხანა | | | |
| სტანდარტი 3×20 | 573 | შ. ქველიაშვილი (თბ., „დინამო“) | 1960 |
| | 2230 | „დინამოს“ ნაკრები | 1969 |
| სტანდარტი 3×40 | 1154 | შ. ქველიაშვილი (თბ., „დინამო“) | 1964 |
| | 4556 | საქართველოს ნაკრები | 1967 |
| წოლელა 40 გასრ. | 397 | თ. მებრელიშვილი (თბ., „დინამო“) | 1964 |
| | 1550 | საქართველოს ნაკრები | 1967 |
| ჩოქელა 40 გასრ. | 394 | შ. ქველიაშვილი (თბ., „დინამო“) | 1964 |
| | 1525 | „დინამოს“ ნაკრები | 1967 |
| დგომელა 40 გასრ. | 374 | რ. ანანიკიანი (თბილისი, „დინამო“) | 1962 |
| | 1445 | საქართველოს ნაკრები | 1967 |
| წოლელა 60 გასრ. | 597 | შ. ქველიაშვილი (თბ., „დინამო“) | 1964 |
| | 2366 | საქართველოს ნაკრები | 1969 |
| „გაქცეული ტახი“ 20+20 გასრ. | 371 | ს. ქუსიკაშვილი (თბილისი, „დინამო“) | 1971 |
| | 1441 | საქართველოს ნაკრები | 1971 |
| „გაქცეული ტახი“ 30+30 გასრ. | 556 | ს. ქუსიკაშვილი (თბილისი, „დინამო“) | 1971 |
| | 556 | გ. ბექთაშევი (თბილისი, „დინამო“) | 1971 |
| | 2160 | საწყისი ნორმატივი | |
| პნევმატური შაშხანა | | | |
| 40 გასროლა | 370 | ე. აბაჯიანი (თბილისი, „განთიადი“) | 1970 |
| | 1440 | საწყისი ნორმატივი | |
| პნევმატური პისტოლეტი | | | |
| შავ სამიზნეებზე 60 გასრ. | 570 | ჩ. სალუქვაძე (თბილისი, ასკ) | 1966 |
| | 2209 | საქართველოს ნაკრები | 1967 |
| სილუეტებზე 60 გასრ. | 590 | კ. ფოტიევი (თბილისი, „დინამო“) | 1960 |
| | 2344 | საქართველოს ნაკრები | 1970 |
| 20+20+20 გასრ. | 565 | საწყისი ნორმატივი | |
| | 1480 | საწყისი ნორმატივი | |
| მცირეკალიბრიანი პისტოლეტი | | | |
| 40 გასროლა | 376 | ე. კარტაშიანი (თბილისი, ასკ) | 1970 |
| რევოლვერ-პისტოლეტი | | | |
| 60 გასრ. | 592 | ვ. სალუქვაძე (თბილისი, ასკ) | 1964 |
| | 2319 | საქართველოს ნაკრები | 1964 |
| **მოზარდები** | | | |
| მცირეკალიბრიანი შაშხანა | | | |
| სტანდარტი 3×20 | 570 | შ. მიქიაშვილი (ქუთაისი, „დინამო“) | 1965 |
| | 1650 | განათლების სამინისტროს ნაკრები | 1967 |
| წოლელა 60 გასრ. | 594 | ქ. ფარულავა (ქუთაისი, გან. განყ.) | 1965 |
| | 1750 | განათლების სამინისტროს ნაკრები | 1965 |
| პნევმატური შაშხანა | | | |
| 40 გასროლა | 360 | ვ. ოვჩინიკოვი (სოხუმი, „დინამო“) | 1971 |
| | 1050 | საწყისი ნორმატივი | |
| მცირეკალიბრიანი პისტოლეტი | | | |
| 30 გასროლა | 277 | ე. ავეტიანი (თბილისი, „დინამო“) | 1969 |
| | 785 | განათლების სამინისტროს ნაკრები | 1964 |
| 60 გასროლა | 533 | გ. გალოგრე (ქუთაისი, „დინამო“) | 1969 |
| | 1708 | განათლების სამინისტროს ნაკრები | 1965 |
| სილუეტებზე 60 გასრ. | 587 | გ. გალოგრე (ქუთაისი, „დინამო“) | 1970 |
| | 1710 | საწყისი ნორმატივი | |
| პნევმატური პისტოლეტი | | | |
| 40 გასროლა | 360 | საწყისი ნორმატივი | |
| | 1050 | საწყისი ნორმატივი | |

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:1. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

● „კახეთი“ (თელავი) — „სინათლე“ (თბილისი) 1:1. მსაჯი ო. კალანდაძე (თბილისი).

საგრძნობი უპირატესობა, რომელიც თელაველებს ჰქონდათ შესვენებამდე, არ იქნა გამოყენებული. შესვენების შემდეგ შეტევაზე გადავიდა „სინათლე“ და წარმატებასაც მიაღწია — 1:0 (სიმონიშვილი). მასპინძლები ბევრს ეცადნენ საპასუხო ბურთის გატანას და ეს შეძლეს მხოლოდ მატჩის დასასრულს, როცა 11-მეტრიანი დარტყმის უფლება მიიღეს. იგი ზუსტად შეასრულა ელისაშვილმა.

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — ასკ (თბილისი) 1:2. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

სამივე ბურთი შესვენების შემდეგ იქნა გატანილი. ანგარიში გახსნა არმიელმა ნადიროვმა. ხოფერიამ მალე აღადგინა თანაფარდობა, მაგრამ 81-ე წუთზე ჩომახიძის დარტყმის შემდეგ „ლოკომოტივის“ კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა.

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

ლიდერთა შეხვედრას მაყურებელი დიდი ინტერესით მოელოდა, მაგრამ თამაში ჩატარდა უფერულად, დაბალ ტემპში. მისი ბედი გადაწყდა 70-ე წუთზე სამტრედიელი მანჯგალაძის ზუსტი დარტყმის შემდეგ. გარდაბნელებს შეეძლოთ წაგებისთვის დაეღწიათ თავი, როცა მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე სტუმრების კარში დაინიშნა პენალტი. მეკარე კაპანაძემ, რომელიც ამ დღეს საუკეთესოდ თამაშობდა, აიღო ჯიქიას მიერ დარტყმული ბურთი.

უცენზურო გამოთქმისთვის გაფრთხილებულია გარდაბნელი შ. ფიროდოროვი.

● „გიგანტი“ (ლაითური) — „ისანი“ (თბილისი) 1:0. მსაჯი მ. ლოსაბერიძე (ქუთაისი).

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:3. მსაჯი ა. ჰქუასელი (თბილისი).

უხეში თამაშისთვის გაფრთხილება მიიღო „ეგრისის“ მოთამაშე ა. ზანინმა.

● „სულორი“ (ვანი) — „სამცხე“ (აწყური) 0:2. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).

ვანელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ მთელი თამაშის მანძილზე. „სამცხის“ კართან ბევრი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქნა გამოყენებული. ამას გარდა, კარგად ითამაშა მეკარე ვეკუამ. სტუმრებმა კონტრშეტევებზე ააგეს თამაში და ორი მათგანი შედეგიანად დაამთავრეს (ტოლოკონიკოვი, კიკაძე).

მიმდინარე ჩემპიონატში მეორე გაფრთხილება მიიღო ვანელმა ა. საკანდელიძემ.

● „დინამო“ (ზუგდიდი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:0. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

დინამოელებს იმდენად დიდი უპირატესობა ჰქონდათ, რომ მატჩი დროდადრო ცალ კარში თამაშს მოგაგონებდათ, თუმცა ბევრი საგოლე მომენტიდან მასპინძლებმა გამოიყენეს მხოლოდ ერთი (დარასელია). ამას გარდა, „მეშახტის“ მეკარე ბუაძემ შეძლო ალმასიას მიერ დარტყმული პენალტის მოგერიება.

უხეშობისთვის მინდვრიდან გაძევებულია ტყიბულელი ა. არსენიძე.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 2:0. მსაჯი ზ. კოლუაშვილი (გაგრა).

● „ივერია“ (ხაშური) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:0. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

გოლები გაიტანეს ოსაძემ და ლაბაძემ.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ხაშურელი ლომსაძე.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „განთიადი“ (ბორჯომი) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

სტუდენტთა შორის გამოირჩეოდა ნაჭყებია, რომელმაც ორი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„ავტომობილისტი“ (ცხინვალი) — „კოლმეურნე“ (ტიბაანი) 3:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 1:1, „ვარძია“ (ასპინძა) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 0:2, „მესხეთი“ (ახალციხე) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:2, „შირაქი“ (წითელი წყარო) — „მშენებელი“ (წალკა) 2:0, „მევენახე“ (ბოლნისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 0:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 3:1.

#### II ზონა

„სალხინო“ (მაიაკოვსკი) — „სპუტნიკი“ (წალენჯიხა) 6:0, „განათლება“ (ადიგენი) — „დიოსკურია“ (სოხუმი) 2:0, „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) — „მშიური“ (გალი) 5:1, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 2:0, „კახაბერი“ (ხელვაჩაური) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 0:1, „განთიადი“ (აბაშა) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:1.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 13 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 7 | 4 | 2 | 1 | 8—2 | 10 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 7 | 4 | 2 | 1 | 10—5 | 10 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 6 | 5 | 0 | 1 | 9—5 | 10 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 7 | 4 | 1 | 2 | 9—5 | 9 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 7 | 3 | 3 | 1 | 4—1 | 9 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 7 | 4 | 1 | 2 | 9—7 | 9 |
| „კახეთი“ (თელავი) | 7 | 3 | 2 | 2 | 9—9 | 8 |
| „სამცხე“ (აწყური) | 7 | 3 | 2 | 2 | 9—9 | 8 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 6 | 2 | 3 | 1 | 9—5 | 7 |
| „ისანი“ (თბილისი) | 7 | 3 | 1 | 3 | 8—6 | 7 |
| ასკ (თბილისი) | 7 | 2 | 3 | 2 | 7—5 | 7 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 7 | 2 | 3 | 2 | 10—9 | 7 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 7 | 2 | 3 | 2 | 7—8 | 7 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 7 | 2 | 3 | 2 | 6—8 | 7 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 7 | 2 | 2 | 3 | 6—7 | 6 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 7 | 2 | 1 | 4 | 12—11 | 5 |
| „სულორი“ (ვანი) | 7 | 1 | 3 | 3 | 5—5 | 5 |
| „ივერია“ (ხაშური) | 7 | 2 | 1 | 4 | 8—15 | 5 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 7 | 2 | 1 | 4 | 6—13 | 5 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 5 | 1 | 2 | 2 | 7—7 | 4 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 7 | 0 | 3 | 4 | 3—8 | 3 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 7 | 0 | 2 | 5 | 2—13 | 2 |




# კუდის მოქნევაც ასეთი უნდა

პრაღა, 11 აპრილი. ჩეხოსლოვაკიელებთან წაგების შემდეგ შვეციის ნაკრებმა ენერგიულად ჩაატარა მატჩი გფრ-ის ჰოკეისტებთან. გერმანელებმა სპეციალური მეთვალყურე მიუჩინეს შვედების ყველაზე სახიფათო თავდამსხმელს პალმკვისტს, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. პირიქით, პალმკვისტის მიმართ მიღებულმა საგანგებო ზომებმა ფართო ასპარეზი გაუხსნა მის პარტნიორებს. შვედებმა დამსახურებული გამარჯვება იზეიმეს — 10:0 (3:0, 5:0, 2:0).

სენსაციური შედეგით დამთავრდა ფინეთისა და შვეიცარიის გუნდების შეხვედრა. შვეიცარიელებს ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე ბოლო ადგილს უწინასწარმეტყველებდნენ. შესაძლოა, ეს ასეც მოხდეს და გუნდი VI ადგილზე აღმოჩნდეს, მაგრამ დღევანდელ მატჩში აუტსაიდერმა მეტოქეს უსიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა: დაამარცხა იგი ანგარიშით 3:2 (1:2, 0:0, 2:0).

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 12 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 3 | 0 | 0 | 31—3 | 6 |
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 0 | 31—4 | 6 |
| შვეცია | 3 | 2 | 0 | 1 | 23—5 | 4 |
| ფინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 12—18 | 2 |
| შვეიცარია | 4 | 1 | 0 | 3 | 7—43 | 2 |
| გფრ | 4 | 0 | 0 | 4 | 6—37 | 0 |



# თბილისელი მოსწავლის წარმატება

ესენტუკში დამთავრდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე გოგონათა ჩემპიონატი. შეჯიბრების ფავორიტები იყვნენ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ზაკის აღზრდილნი — ლენინგრადელები ნ. ზუბოვა და ნ. ბელოვა. მთელი ტურნირის მანძილზე მათ წარმატებით მეტოქეობდა თბილისელი პირველთანრიგოსანი ქეთევან გეგიძე.

საბოლოოდ ზუბოვამ, ბელოვამ და გეგიძემ 7,5-7,5 ქულით (10-დან) I-III ადგილები გაიყვეს. კოეფიციენტთა ცხრილით ჩემპიონის სახელი ზუბოვას მიენიჭა. II ადგილი ხვდა გეგიძეს, III—ბელოვას.

ტურნირში თამაშობდა გეგიძის უმცროსი და რუსუდანიც, რომელმაც 4 ქულით VIII ადგილი დაიკავა.

დები ქეთევან და რუსუდან გეგიძეები თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან, ამ ბრძნული თამაშის საიდუმლოებას თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა საჭადრაკო სპორტსკოლაში ეუფლებიან.

**ა. ბუსლაევი,**
**სპორტის ოსტატი.**

# ჭაბუკი ჩემპიონები

რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში გაიმართა აჭარის ჭაბუკ ძალოსანთა პირველობა.

ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ა. ქსოვრელმა (მჩატე წონა) ატაცში საქართველოს ჭაბუკთა ახალი რეკორდი დაამყარა — 84 კგ.

შეჯიბრებას თავი აარიდეს ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების წარმომადგენლებმა.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# ლ. ნ. პროკოფიევი

გარდაიცვალა ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა ძველი თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ლევ ნიკოლოზის ძე პროკოფიევი.



ლ. პროკოფიევი დაიბადა 1900 წელს თბილისში. საშუალო განათლება მიიღო მე-2 კომერციულ სასწავლებელში, რომელიც 1919 წელს დაამთავრა. 1919-1920 წლებში მან ფიზიკური კულტურის სპეციალური კურსები გაიარა და ფოთის ვაჟთა გიმნაზიის ფიზკულტურის მასწავლებლად დაინიშნა. აქ მუშაობდა 1921 წლამდე.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ლევ პროკოფიევმა მუშაობა დაიწყო მე-3 საცდელ-საჩვენებელ სკოლაში. 1938-1945 წლებში ხელმძღვანელობდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას თბილისის სარკინიგზო ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში.

შემდეგ პროკოფიევი ცოტა ხნით ჩამოშორდა ფიზკულტურასა და სპორტს, 1947 წელს კი კვლავ დაუბრუნდა ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ აღზრდას, ისევ თბილისის სარკინიგზო ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა ფიზაღზრდისა და სპორტის უფროს მასწავლებლად. 1952 წლიდან იგი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ერთხანს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას ხელმძღვანელობდა, მერე კი იქვე მუშაობდა უფროს მასწავლებლად. აქ იმუშავა 1964 წლამდე, შემდეგ კი პენსიაზე გავიდა.

შრომითი სარბიელზე მოღვაწეობის დროს ლ. პროკოფიევს ბევრი სხვა დავალებაც შეუსრულებია. მაგალითად, იგი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ მუშაობაში. 1924-1931 წლებში იყო განათლების მუშაკთა სახლის გამგეობის წევრი, 1931-1947 წლებში — თბილისის მასწავლებლის სახლის გამგეობის თავმჯდომარე, იგი იყო, აგრეთვე, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

ლ. პროკოფიევი კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1955 წლიდან. მრავალი წლის ხანგრძლივი, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის სხვადასხვა დროს მიღებული ჰქონდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, მედლები, წარჩინების სამკერდე ნიშნები.

ლევ პროკოფიევი პატიოსანი მუშაკი და მოქალაქე, გულისხმიერი მეგობარი და მასწავლებელი იყო. ასეთ ადამიანებს კი დიდხანს არ ივიწყებენ.

**საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა.**



სსრ კავშირის ჩემპიონატი

# უკანასკნელი ზღუდე




ლენინგრადი, 11 აპრილი. დღეს აქ დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები. გუნდებს ჩასატარებელი დარჩათ 6-6 შეხვედრა.

გთავაზობთ დასკვნითი ტურის პირველი დღის შეხვედრათა შედეგებს: ტტტ (რიგა) — „პოლიტექნიკა" (კაუნასი) 67:48, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 85:57, „დინამო" (კიევი) — „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) 67:57, „დინამო" (მოსკოვი) — „ინჟდორსტროი" (კიშინიოვი) 67:59, „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) — „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) 71:60.

როგორ გამოიყურება დღეისთვის სატურნირო ცხრილი? ოქროს მედლების მიღების ყველაზე ნაღდი შანსი აქვს სსრ კავშირის ბოლო წლების უცვლელ ჩემპიონს (იგი 10-ჯერ ფლობდა უმაღლეს ტიტულს) — რიგის ტტტ-ს. ლიდერმა 17 მატჩიდან ყველა მოიგო და 2 ქულით გაუსწრო II ადგილზე მყოფ ლენინგრადის „სპარტაკს" 12 ქულით (ასევე 17 შეხვედრაში) III ადგილზეა ვილნიუსის „კიბირკშტისი".

მძაფრი ბრძოლაა გაჩაღებული აუტსაიდერთა მორის. როგორც ცნობილია, უმაღლეს ლიგას წლეულს ბოლო ადგილზე გასული ორი კოლექტივი დატოვებს. სხვებზე უფრო ცუდად აქვთ საქმე კიშინიოვის „ინჟდორსტროისა" და კაუნასის „პოლიტექნიკას". ისინი 3-3 ქულით (17 მატჩში) სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურებს ტკეპნიან. დღევანდელმა წარმატებამ მოსკოვის „დინამო" 2 ქულით დააშორა აუტსაიდერებს.

სსრ კავშირის ახალი ჩემპიონის ვინაობა ცნობილი გახდება 17 აპრილს.

● კიროვსკი, 10 აპრილი. აქ დამთავრდა სამთომოთხილამურე ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. ასპარეზობის პროგრამის ბოლო სახეობაში — სლალომში ყველას აჯობა მოსკოველმა ს. ისაკოვამ — 1.26,3. ვერცხლის მედალს დაეპატრონა რსფსრ-ს წარმომადგენელი ნ. ხალზოვა — 1.31,7. III ადგილზეა ლენინგრადელი ი. ტურუნდაევსკაია — 1.34,7.

● ტანჟერი, 11 აპრილი. დღეს დილით აქ სტარტი აიღო საერთაშორისო მრავალდღიანმა ველორბოლამ — „ტურ დე მაროკ-72"-მა. წლეულს ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობენ ალჟირის, ბელგიის, ჰოლანდიის, სსრ კავშირის, იტალიის, პოლონეთის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები და მაროკოელი ველოსიპედისტების ორი გუნდი. 77 მრბოლელს წინა აქვს 12 ეტაპად დაყოფილი 1677-კილომეტრიანი ტრასა. ველორბოლას ფინიში 23 აპრილს ექნება კასაბლანკაში. საბჭოთა სპორტსმენებისთვის ეს შეჯიბრება ოლიმპიადისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი გახლავთ.



როცა მსოფლიო პირველობის მატჩში ჩეხოსლოვაკიელ ჰოკეისტთა გუნდი ანგარიშით 1:0 უგებდა შვეციის ნაკრებს, ამ გუნდის ერთმა თავგამოდებულმა ქომაგმა მესამე სართულის ფანჯრიდან ისროლა ტელევიზორი, რომელიც ფანჯრის ქვეშ მდგარ მის საკუთარ ავტომანქანას დაეცა. მაშინ დაეჟეული მანქანის პატრონი ავტოსარემონტო სახელოსნოში გავარდა, მაგრამ გზაში მეორე ავტომობილს დაეჯახა. უიღბლო გულშემატკივარმა გადაიხადა ჯარიმა 400 კრონი და იძულებული გახდა შინ ავტობუსით დაბრუნებულიყო.

(სადესის კორ.).

სტოკჰოლმი, 10 აპრილი.

კიროვსკი. 9 აპრილი. სსრ კავშირის ჩემპიონატი 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში.

1. ვ. ტერიხევი („დინამო")— 227,4 ქულა, 2. ა. წაქაძე (საბჭოთა არმია) — 227,2, 3. გ. მენშიკოვი („შრომითი რეზერვები") — 226,4.

გუნდური ჩათვლა: 1. „შრომითი რეზერვები", 2. „დინამო", 3. „ბურევესტნიკი".

სოფია, 12 აპრილი. ბულგარელმა ძალოსანმა მ. კუჩევმა (მსუბუქი წონა) 154 კგ აჰიმა, რაც ნახევარი კილოგრამით ხჯობს მისსავე მსოფლიო რეკორდს.

19 45

დაიწყო

ევროპის ჩემპიონატი

„ურჩხულის" კლასში

◆ იერი, 12 აპრილი. საფრანგეთის ამ ქალაქში, სადაც ამას წინათ წინაოლიმპიური საფრონსნო რეგატა ჩატარდა, სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატმა „ურჩხულის" კლასში. პირველი ორი რბოლის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო გდრ-ის ეკიპაჟმა, რომელსაც ამ ნავების კლასში ცნობილი მესამე პ. ბოროვსკი თავკაცობს. გერმანელ სპორტსმენებს 5,7 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ. საბჭოთა ეკიპაჟი ლენინგრადელი გ. ხაბაროვის ხელმძღვანელობით ჯერჯერობით X ადგილზეა—33 ქულა. ჩემპიონატში 32 იახტა მონაწილეობს.

→ გალი

სოფელ ბარღების სასოფლო კულტსახლის კლუბში მოეწყო მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელშიც 10 კაცი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა კულტსახლის დირექტორმა რ. ლიპარტელიანმა, II — აგრონომმა ჟ. მირცხულავამ, III — სასოფლო საბჭოს მდივანმა ჯ. მირცხულავამ.

**რ. შონია,**
**ზემო ბარღების საშუალო სკოლის მოსწავლე.**

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47. 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-98-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 02562